ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 26
20/02/2017

26-08-4-201702201624

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 27 თებერვალს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.2. "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი:ტარიელ ბერაძე

1.7. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მეორე სართულზე არსებული 36.00 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი) ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.007) საქართველოს პარლამენტის აპარატისთვის (ს/კ - 202058245) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა